# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (9.667)

31 იანვარი-7 თებერვალი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ახალი საწარმო დედოფლისწყაროში



27 იანვარს, დედოფლისწყაროში შ.პ.ს "აგრო ქიზიყმა" ახალი საწარმო გახსნა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაესწრო. საწარმო საქონლის საკვებს ამუშავებს და საათში 3-4 ტონა საკვები მუშავდება. ფერმერებს შეუძლიათ საკვები მზა შეიძინონ ან საკუთარი მიიტანონ და გადაამუშავონ. ქარხანაში პირუტყვის წონის მიხედვით, სხვადასხვა ულუფა მზადდება. შ.პ.ს "აგრო ქიზიყი" ასევე ახორციელებს საქონლის ხელოვნურ განაყოფიერებას, რითიც მაღალ პროდუქტიული საქონელი მიიღება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, შ.პ.ს "აგრო ქიზიყის" ხელმძღვანელს ბექა გონაშვილს საწარმოს გახსნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ბევრი ფერმერი ისარგებლებს საწარმოს საკვებით.

# უშველის თუ არა ახალი კანონი გაჭირვებულებს?

რამდენიმე დღის წინ რედაქციაში 58 წლის ქალბატონმა შემოაღო კარი. ჩვენი რესპოდენტი **ევგენია ქორთოშიძე** აღმოჩნდა. მან თავისი გასაჭირი მოგვიყვა და დახმარება და მხარდაჭერა ითხოვა: -„წარმოშობით ქვემო ქედიდან ვარ, ლაგოდეხში გავთხოვდი და ოჯახიც იქ შევქმენი, ქმარი ადრე გარდამეცვალა და 70-იანი წლებიდან ისევ მშობლიურ რაიონს დავუბრუნდი. ლაგოდეხში ჩვენი სახლი უპატრონობის გამო დაიწვა, დედოფლისწყაროში კი საკუთარი ჭერი არ მაქვს, სხვის ბინაში დროებით ვარ შესახლებული. ერთი ბიჭი მყავს, ისიც ციხეშია, უკიდურესად გაჭირვებულს ხელი გამომიწოდა ჩვენმა ხელმძღვანელობამ და მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამლაგებლად დამასაქმა, ამისთვის მადლიერი ვარ და არც არავის ვემდური, მაგრამ ჩემს გასაჭირს ამით არ ეშველა. აქამდე დამლაგებლობის ხელფასს 200 ლარს ვიღებდი, ამჯერად ცვლილებები განხორციელდა და ხელფასი 150 ლარამდე შემიმცირდა, ამას ისიც ემატება, რომ ერთი წლის წინ ექიმებმა სიმსივნის დიაგნოზი დამისვეს, ონკოლოგიურ ავადმყოფს, მოგეხსენებათ, რამდენი თანხა ესაჭიროება, ტომოგრაფიის თანხა, 280 ლარი ჩვენმა მუნიციპალიტეტმა დამიფინანსა, მაგრამ თბილისში წასასვლელად საჭირო მკურნალობის ხარჯები ჩემი ხელფასის საფუძველზე ბანკიდან წინასწარ გამოვიტანე, რომელსაც დღემდე ვიხდი. დღესდღეობით მე მხოლოდ ამ ბანკის გადასახად თანხას ვიღებ და ვიხდი, დანარჩენი არაფერი არც მაბადია და ყველაფერზე უარის თქმა მიწევს. საჭმელს სათნოების სახლში მაძლევენ, ტანსაცმელს კი, ღვთისნიერი ადამიანები მიგზავნიან, რომლებიც თავის გამონაცვალს ჩემთვის იმეტებენ. ხელფასზე ის 50 ლარი რომ მომაკლდა, ამან უფრო მეტად შეარყია ჩემი სოციალური მდგომარეობა, ამჯერად დენის და წყლის გადასახადსაც ველარ გადავიხდი ალბათ, საბერძნეთში მყოფ ნათესავს თავის კორპუსის ბინაში რომ არ შევეშვი, დღემდე ისევ ისე ვიცხოვრებდი, როგორც მანამდე, -ერთი სკამიც არ მქონდა, რომ დავმჯდარიყავი, ჩემი ერთადერთი ჩამოსაჯდომი ადგილი რკინის ძველი საწოლი გახლდათ. მართალია, ახლა ახლობლის სახლში კომფორტია, მაგრამ ეს ჩემს გაჭირვებას ვერაფერს შველის, ჩემი სარჩენი თანხა ბანკის კრედიტში მიდის, მე კი ხელცარიელი ვრჩები. ადრე სოციალური დახმარება სულ მქონდა, ქულები 21 000-ზე მეტი არ მქონია, 4-5 თვის წინ სოციალურმა აგენტმა გადამამოწმა და ქულათა ოდენობამ 63 000-ს მიაღწია, რის გამოც დახმარება შემიწყდა. ამ ეტაპზე ძალიან მიჭირს, ძლიერი სიდუხჭირის ზღვარზე რომ არ ვმდგარიყავი, აქ ნამდვილად არ მოვიდოდი და, დამერწმუნეთ, ასე საჯაროდ ჩემს გაჭირვებაზე არ ვისაუბრებდი. მინდა ყველამ ირწმუნოს, რომ არავის არ ვუჩივი, არავის უკმაყოფილო არ ვარ, ვისაც რა შეუძლია, მეხმარებიან და გვერდში მიდგანან, მაგრამ ამ ეტაპზე ვიდრე სესხს დავფარავ, ძალიან მიჭირს. ვთხოვ ყველას, დამეხმარონ. ამასობაში იქნებ სოციალური დახმარება მაინც დამენიშნოს, რომ როგორმე თავი გავიტანო. მიმაჩნია, რომ დახმარება ნამდვილად მეკუთვნის, დამერწმუნეთ, ჩემს პირობებში ყოფნას არავის ვუსურვებდი, "-ამბობს გაზეთ „შირაქთან" ევგენია ქორთოშიძე.

აღნიშნული გარემოება ალბათ ნებისმიერი მოქალაქისთვის ნაცნობია. ამბობენ,

(გაგრძელება გვ.2)

## შირაქის ველი გუშინ და დღეს



გვ.5

## საქველმოქმედო აქცია ბაგა-ბაღში



გვ.5

## „ჩემი შთაგონების წყარო მუდმივად იყო ჩემი ქიზიყელი ხალხი"...

გვ.2-8


გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი"

*2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის" პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.*

*„შირაქი" ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.*

**გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი" – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.**


C M Y K

# „ჩემი ფანტაზიის და შთაგონების წყარო მუდმივად იყო ჩემი ქიზიყელი ხალხი“...

20 იანვარს პოეტ მარინე ცხვედიაშვილის საღამო გაიმართა საქართველოს მწერალთა სახლში. დარბაზი ხალხით იყო სავსე, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებითა და თანამოკალმეებით...

მარინე ცხვედიაშვილი დედოფლისწყაროდანაა. მისი ბავშვობა სოფელ არბოშიკს უკავშირდება. მის ლექსებში ქიზიყური სურნელი გახვევთ თავბრუს და ალაზნის ველის სილამაზესაც მისი სტრიქონები საუკეთესოდ შეგაგრძნობინებთ:

„შენ გაზაფხული უბით
მოგქონდა,
მზის სარეცელზე იწვა კახეთი,
და გაბაწრული ეგდო გომბორთან
ღამე, ეშმაკის რჯულზე ნახედნი.
თვინიერ ჟამთა ცბიერი ხელი
ცისფერ საკინძეს გიხსნიდა
ხარბად
და ცახცახებდა ალაზნის ველი,
დაწაფებული სიამის შარბათს.“

ამ რამდენიმე სტრიქონით პოეტი შესანიშნავად მოგვითხრობს კახეთის ისტორიას. მისი პოეზია ლაღია, ძალდაუტანებლად იკითხება და მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. სწორედ ამიტომ თქვა მარინე ცხვედიაშვილის საღამოზე პოეტმა ია სულაბერიძემ,-”თქვენი ლექსების კითხვისას კეთილი შური მიპყრობსო”. დიახ, ძნელია პოეტმა ეს აღიაროს, თანაც საკმაოდ ნიჭიერმა პოეტმა, მაგრამ ფაქტია-ეს მარინე ცხვედიაშვილის პოეზიის ყველაზე დიდი აღიარებაა....

ია სულაბერიძე (პოეტი): „მარინე ცხვედიაშვილი ის პოეტია, რომლის სახელი და გვარი მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს. მისი ლექსები არავის შემოქმედებას ტოლს არ უდებს და ვინც წაიკითხავს დარწმუნდება. მე ხშირად შემშურებია მარინეს ლექსის, მისი სიტყვის. ვისურვებდი, რომ მისნაირი პოეტების სიტყვა მისულიყო თითოეული ქართველის გულამდე და იქნებ ცხოვრება იმაზე უკეთესი გახდეს, ვიდრე ახლაა“.

მათ ბავშვობაში იპოვეს ერთმანეთი, როგორც სულიერმა დობილებმა და მას შემდეგ ერთად არიან. ცხოვრების ყველა განსაცდელსაც და პოეზიის და ქალობის ტვირთსაც ერთად გაუძლეს. მისი პოეზიის საღამოს გაძღოლაც მან ითავა. „მწერალთა კავშირის ორგანიზებით, დედოფლისწყაროს ინტელიგენციასთან ერთად დაიგეგმა ეს საღამო. დღევანდელი დღე არ იყო ერთი კუთხის დღესასწაული. მთელი საქართველოს დღესასწაულია, რადგან ბევრი ქვეყანა დაიკვეხნიდა და ინატრებდა მარინე ცხვედიაშვილის მსგავსად ნიჭიერ, მშვენიერი ხმის მქონე, ტკივილებით სავსე პოეტს. დღეს პოეზიის დღესასწაული იყო. ის არის ვაჟა ფშაველას, გოგლა ლეონიძის პრემიის ლაურეატი და დღეს გადაეცა აკაკი წერეთლის პრემიაც. ისეთი ქართულია მარინეს შემოქმედება, ისეთი ნაზი და სუფთაა, როგორი ანკარაც წყაროს წყალი შეიძლება იყოს, ისიც მხოლოდ სათავეში.

შემოქმედი ადამიანის წუხილის საბაბს, ადამიანის, რომელსაც სამყაროს აღქმის გამძაფრებული უნარი აქვს...

ნანი საბანაძე **(პოეტი):** „როცა პირველად გავეცანი ქალბატონი მარინეს შემოქმედებას, აღფრთოვანებული ვიყავი. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აშკარად ჩანს მისი შინაგანი სიღრმე, რომელიც განსაკუთრებული და ინდივიდუალურია. მისი რითმები, მუსიკალურობა, კომპოზიცია, შერწყმა და აზრის შესანიშნავად გადმოცემის უნარი.

მერი კოჭლამაზაშვილი-გონაშვილი **(მარინე ცხვედიაშვილის მასწავლებელი)**:“როცა მარინე გავიცანი, ის მაშინ მეოთხე კლასის მოსწავლე იყო. მისი კლასელისგან შევიტყე, რომ ლექსებს წერდა და, მიუხედავად იმისა, რომ მე მათემატიკას ვასწავლიდი, მაინც დავინტერესდი მისი შემოქმედებით. ძალიან მომეწონა მისი ლექსები და გადავწყვიტე, ფილოლოგებისთვისაც მეჩვენებინა. ამას მოჰყვა შემდგომში ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადებში მონაწილეობა, საიდანაც ის და რამდენიმე სხვა მოსწავლე სულ გამარჯვებული ბრუნდებოდა. შემდეგ მე შევქმენი შრომითი რაზმი სოფელ არბოშიკში, რომელიც ზაფხულის განმავლობაში ფუნქციონირებდა. სწორედ აქ შედგა მარინე ცხვედიაშვილისა და მაყვალა გონაშვილის გაცნობა, რომელიც ზაფხულობით სოფელში ჩამოდიოდა-ხოლმე დასასვენებლად“.





მარინე ცხვედიაშვილი მწერალთა დიდ ოჯახში გამორჩეულად მიყვარს. მხიბლავს მისი პოეზიაც. მარინე ჩემი მეგობარი რომც არ ყოფილიყო, ერთად რომ არ გვერბინა ფეხშიშველებს არბოშიკის იკლი-ბაკლო ხეობაში და ერთხელაც რომ არ ავვსებულიყავით კახეთის მადლიანი მზის ზედაშით, ასევე გამორჩეულად მეყვარებოდა მისი ლექსები, რადგან ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი მის შემოქმედებაში ჭეშმარიტი, ამაღლებული პოეზიის მადლითაა მირონცხებული.

მისი ყოველი ლექსი (დედასპურივით ღვთიური სურნელი რომ დაჰყვება) ცრემლით და სიყვარულითაა მოზელილი და სიმარტოვის ცხელ თონეშია გამომწვარი. ცრემლი, ამ მშვენიერი პოეტი ქალის სამკაულია. “ცრემლის მუსიკა” ჟონავს მისი პოეზიიდან.”-ამბობს **პოეტი** მაყვალა გონაშვილი.

მართლაცდა, პოეტის სევდის მიზეზი უამრავია: სამშობლოს ბედი, მამისეული, მიტოვებული სახლ-კარი, დედის საფლავი, გულგრილი, სიძულვილით აღსავსე სამყარო... ან რა გამოლევს

გთავაზობთ საუბარს პოეტ მარინე ცხვედიაშვილთან: – „ეს, მართლაც, მშვენიერი საღამო იყო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მწერალთა კავშირს, მაყვალა გონაშვილს და ჩემს ყველა მეგობარს, პოეზიის ყველა მოყვარულს, ვინც ამ რთულ დროში შეწუხდა, მოვიდა და მოგვისმინა. ეს იყო ერთგვარი შეჯამება ჩემი მოკრძალებული შემოქმედებისა და ძალიან მადლიერი ვარ. მოგეხსენებათ, მე დავიბადე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. ქიზიყის ერთ-ერთ უმშვენიერეს და ულამაზეს, გამორჩეულ სოფელში. ჩემი ფანტაზიის და შთაგონების წყარო მუდმივად იყო ჩემი ქიზიყელი ხალხი, ჩემი სოფლის არაჩვეულებრივი ბუნება.

**- მინდა გაიხსენოთ თქვენი პირველი შეხება რითმასთან...**

- ჩემი პირველი ლექსიც ბავშვობიდან მოდის. პირველად სკოლაში, დაახლოებით პირველი-მეორე კლასის პერიოდში დავწერე. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემი შემოქმედების პირველი შემფასებელი იყო ჩემი მამა, რომელიც აუცილებლად პირველი კითხულობდა ჩემს ლექსებს. მას მუდმივად უბით დაჰქონდა ჩემი ლექსები. 16 წლის ვიყავი, როდესაც მამა გარდამეცვალა, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ამ ასაკამდე მამას მუდმივად ჯიბით დაჰქონდა ლექსები, ძალიან უხაროდა და მეგობრებთან ხშირად კითხულობდა. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, პირველი ცენზორი ის გახლდათ. ასევე, ჩემი პედაგოგები და მეგობრები იყვნენ პირველი მკითხველები. ამ გადასახედიდან, ჩემი ცხოვრების ყველაზე უბედნიერესი ფურცელი და ყველაზე ლამაზი წლები არბოშიკს უკავშირდება. ამიტომ მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩემს აღზრდაში. რა თქმა უნდა ჩემს მშობლებს, პედაგოგებს: ქალბატონი მერი გონაშვილი, ელენე ზუბიაშვილი, ეკატერინე პატატიშვილი, ანა კვანჭილაშვილი, ბიძინა სეხნიაშვილი, ანეტა მაძღარაშვილი... ჩემი დედობილი: ია ახობაძე, არაჩვეულებრივი ადამიანი... ანა ალავერდაშვილი - ჩვენი სოფლის ექიმი. ეს ის ხალხი იყო, რომლებიც მზრდიდნენ, მაყალიბებდნენ და თუ დღეს რაიმეს წარმოვადგენ და ჩემი ლექსი ვინმეს მალამოდ ეცხება, მათი წვლილიცაა. რა თქმა უნდა მშობლები, დედა: ანასტასია ბოჭორიშვილი, არაჩვეულებრივი ადამიანი და მეგობარი, მამა: გიორგი ცხვედიაშვილი - საუკუნოდ დავალებული ვარ, მათი ხსოვნის წინაშე.

**- მაყვალა გონაშვილი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში მშობლიური კუთხე არც ფიგურირებს, თქვენს შემთხვევაში კი პირიქითაა...**

- ჩემი ყველაზე თბილი ლექსები, ჩემს კუთხეს და ქიზიყელებს ეძღვნება. როცა მოსწავლე ვიყავი, ჩემი ლექსები იბეჭდებოდა როგორც დედოფლისწყაროს გაზეთ „შირქში“, ისე რესპუბლიკურ გამოცემებში. მოგვიანებით ჩემი სერიოზული პუბლიკაცია ჟურნალ „ცისკარში“ იყო. ჩემი პირველი ლექსი ფართო აუდიტორიისთვის ბაღათერ არაბულმა გამოაქვეყნა. შემდეგ წიგნები, პირველი კრებული და პერიოდულად, პრესის საშუალებით მიდიოდა მკითხველამდე.

**- ახლახან, საიუბილეო შემოქმედებითი საღამო ჩატარდა და თვალი რომ გადაავლოთ თქვენს შემოქმედებას, რამდენი პოეტური კრებულის გამოცემა მოახერხეთ და რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

- ოთხი კრებული მაქვს გამოცემული. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, არ ვიცი რატომ,

*(გაგრძელება გვ.8)*

# უშველის თუ არა ახალი კანონი გაჭირვებულებს?

*(პირველი გვერდიდან)*

გამოსავალი ყველა საქმეში მოიძებნებაო და ჩვენც გამოსავლის ძიებაში სოციალური სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალის უფროსს ზურაბ ზურაშვილს ვესაუბრეთ. მას ევგენია ქორთოშიძის მდგომარეობა ავუხსენით და ვთხოვეთ, თუ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო ამ ქალბატონის ხელახალი გადამოწმებისთვის. სოციალური სააგენტოს ბაზაში დაფიქსირებული იყო, რომ ქორთოშიძეს ახალი შემოწმების საფუძველზე 63 000 ქულა ჰქონდა მიღებული, როგორც ბატონმა ზურაბმა აგენტის მიერ შემოწმებული ცნობიდან ამოგვიკითხა, ქალბატონ ევგენიას სახლში (მართალია სხვის ბინაში, მაგრამ მაინც) წყლის გამათბობელი, პლაზმური ტელევიზორი და 200 ლარი ხელზე ასაღები ხელფასი ჰქონია. აქედან დასკვნა ის გახლავთ, რომ ამ ყველაფერმა განაპირობა ქორთოშიძეს სოციალური სააგენტოდან მაღალი ქულები მიეღო.

გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, რომ თუ მოქალაქე უსახლკაროა და ის სხვის სახლში ცხოვრობს, მას სხვისი ტელევიზორიც და გამათბობელიც საცხოვრებელ პირობებში ეთვლება. გამომდინარე აქედან, სოციალური სააგენტოს უფროსის პასუხიც ადექვატური გახლდათ, - „არ აქვს მნიშვნელობა, თავისი ბინაა თუ არა, სადაც ცხოვრობს და რა გარემოც არსებობს იქ, ის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, ამიტომაც არის, რომ ქულათა ოდენობამ საკმაოდ მაღლა აიწია. ერთადერთი, რაც შემიძლია სანუგეშო გითხრათ, ის გახლავთ, რომ თუ ქალბატონს ხელფასის ოდენობა შეუმცირდა, მაშინ მან შემოსავლების სამსახურიდან უნდა მოიტანოს ამონაწერი, ცნობა იმის თაობაზე, თუ რამდენია მისი შემოსავალი, ამის შემდეგ შესაძლოა, ის ახლიდან იქნას გადამოწმებული, თუმცა იმასაც ვურჩევდი, რომ ცოტა ხნით მოეცადა, ახალი დებულება ჯერ სააგენტოებამდე არ მოსულა. ჩვენ ამ დებულებას მოკლე ხანში ველოდებით. ვიმედოვნებ და ასეც ვიცი, რომ ახალი დებულების მიხედვით, სოციალური დახმარების ქულათა ოდენობის ზღვარი იზრდება, შესაძლოა, რომ ახალი დებულების თანახმად, მან ამ ქულების რაოდენობითაც მიიღოს დახმარება. ახალი დებულების მიხედვით, შესაძლოა, აღარც გამათბობელი ჩაითვალოს ფუფუნებად და აღარც პლაზმური ტელევიზორი. ასე რომ, მთლად იმედს ნუ გადაიწურავს ქალბატონი ევგენია, გამოსავალი ნამდვილად არსებობს, ამ ყველაფრისთვის კი მას ახალი დებულების მოსვლამდე ცოტა ხნით მოცდა მოუწევს,”-აღნიშნა ჩვენთან საუბარში სოციალური სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალის უფროსმა ზურაბ ზურაშვილმა.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, იმედი მინდა ვიქონიო, რომ მოვლენები ყველა მოქალაქისთვის სასიკეთოდ განვითარდება და არაა გამორიცხული, რომ სოციალური სააგენტოსთვის შემუშავებული ახალი კანონპროექტი, საშველი არა მხოლოდ ევგენია ქორთოშიძისთვის, არამედ უამრავი ჩვენი თანამოქალაქისთვის აღმოჩნდეს.

ლალი მეხრიშვილი

# მთავრობამ „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ დაამტკიცა

მთავრობამ „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ დაამტკიცა. სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში 50 მილიონი ლარი გამოიყოფა და 800 ათას ბენეფიციარს შეეხება. ასევე, დაგეგმილია 400 ათას ჰექტარზე მეტი ტერიტორიის მოხვნა.

„მთავრობამ მოიწონა და დაამტკიცა მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამა, რომელიც საგაზაფხულო სახნავ-სამუშაოებს უკავშირდება. ის 800 ათას ბენეფიციარს შეეხება. პროექტის ბიუჯეტი 50 მილიონ ლარს შეადგენს. გაფართოვდა სახნავი მიწებისა და ბარათების დარიგების არეალი, რომელსაც დაემატა ქუთაისის, ფოთისა და რუსთავს შემოერთებული სოფლები“, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ.

გასული წლებისგან განსხვავებით, „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ფერმერები დახმარებას შეცვლილი სახით მიიღებენ.

ბენეფიციარები, რომლებსაც გააჩნიათ 0.25 დან 1.25 ჰექტარის ჩათვლით სახნავი მიწის ფართობი მიიღებენ მხოლოდ ხვნის ბარათს, 1 ჰექტარზე 140 ლარის გაანგარიშებით.

ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ 0.25 ჰა-მდე მიწის ფართობი წელს ისარგებლებენ 50 ლარიანი აგრო ბარათით.

ბენეფიციარები, რომლებიც 0.25 დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის ფართობს იყენებენ მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის მიიღებენ 1 ჰაზე 140 ლარის ოდენობის სასოფლო სამეურნეო საქონელს.

ნიადაგის ხვნის სამუშაოებს შპს „მექანიზატორი“და კონტრაქტორი კომპანიები უზრუნველყოფს. კონტრაქტორი კომპანიების რეგისტრაცია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში უკვე დაწყებულია.

„აგრო ბარათით“ მომსახურებას ფერმერებს წელსაც „ლიბერთი ბანკი“ გაუწევს. პლასტიკური ბარათით ფერმერს შესაძლებლობა ექნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის შეძენა (სასუქები, სათესლე, სანერგე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები) ნაწილ—ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან მიიღოს.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ თებერვლიდან დაიწყება და 1 დეკემბერს დასრულდება.

მთავრობის ინიციატივით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი 2013 წელს დაიწყო. წელს სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპია.




# შირაქის ველი გუშინ და დღეს

გარე კახეთის ზეგანი, სადაც შირაქის ველი შედის, ცნობები ადამიანის მიწათმოქმედების საქმიანობის შესახებ, გვიან ბრინჯაოსა და რკინის ხანის ფართო ათვისების პერიოდს ეხება. შირაქი კომპაქტურად ყოფილა დასახლებული, არქეოლოგიური მონაპოვრები (ქვის თოხები, ხელსაფქვავები, კაჟის ნამგლის პირები და სხვა) აქ საკმაოდ განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებს. ორი საუკუნის წინათ გარე კახეთის ზეგანის აღმოსავლეთი ნაწილი დიდ როლს თამაშობდა ეკონომიკაში. ცნობილი მკვლევარები ასკვნიან, ირანელებმა თავიანთი შემოსევების დროს, კახეთში მოშალეს ყველა მაშინდელი ნაგებობა, მათ შორის სარწყავი არხები. მოსახლეობას მის აღსადგენად ძალა არ ყოფნიდა და ეს ტერიტორიები მიატოვა. მემატიანე გადმოგვცემს, რომ შირაქის ველი დასერილი ყოფილა სარწყავი არხებით, რომელიც შემდეგ მტრის შემოსევების დროს განადგურებულა.

ძველთაგანვე შირაქის ველში იგულისხმებოდა გარე კახეთის ზეგანი სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილის უდიდესი ტერიტორიით. ცნობილია, რომ 1852 წელს შირაქის ველს ვრცელი სივრცე ეკავა, რომელიც 332 ათას დესეტინას (დესეტინა: ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში; უდრის 1. 09 ჰექტარს) აერთიანებდა: მის შემადგენლობაში იყო დიდი და პატარა შირაქი, ნაზარლები, ელდარი. ვეებერთელა ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა უკაცრიელ ადგილად და ერეკლე მეფის დროიდან გამოიყენებოდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და ცხვრის საძოვრად. მას, ძირითადად, თუშები, ფშავლები, ხევსურები და სხვა ქართველი ტომები იყენებდნენ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კი მისი გამოყენება მეზობელი მაზრების მცხოვრებლებმაც დაიწყეს, მაგრამ ლეკთა თავდასხმები მოსვენებას არ აძლევდა მოსახლეობას. ამრიგად, 1862 წლამდე შირაქის ველი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული ყოფილა და იგი არსებითად მომთაბარე მეცხოველეობის სრულ განკარგულებაში იყო. მათ საქმეში ხელისუფლება არ ერეოდა და ზოგიერთ ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვებისათვის „საბალახოს“ გადახდით იფარგლებოდა. 1862 წლიდან 1864 წლამდე ამ მასივების ზოგიერთი ნაწილი დაბეგრილი ყოფილა მცირე გადასახადით. იმ წლებში მოქმედი კანონით დესეტინა საძოვარში 10 კაპიკი უნდა გადაეხადათ.

კანონით ყველას შეეძლო შირაქში ცხვრის ძოვება, მაგრამ, ფაქტობრივად, ასეთი განუსაზღვრელი უფლებებით ყველაზე მეტად მდიდარი კომლები სარგებლობდნენ, რაც რიგითი მაცხოვრებლების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ხშირად ამ დავაში საკითხებს არკვევდა სიღნაღისა და თიანეთის მაზრებიდან გაგზავნილი პოლიციის რაზმები. შირაქის საძოვრებზე დიდი დავა ჰქონდათ თუშებსაც, ამიტომ 1889 წელს საძოვრები მეორედ გადანაწილდა და მის გამოყენებაზე ერთგვარი წესრიგი თითქოს დამყარდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1893 წლამდე შირაქში საძოვრის სახნავად გამოყენება მკაცრად იყო აკრძალული. მოიჯარეს არ შეეძლო მოეხნა საძოვარი და რომელიმე კულტურა დაეთესა. და თუ ამას ვინმე ჩაიდენდა, თითოეულ მოხნულ დესეტინაზე 10 მანეთი ჯარიმა უნდა გადაეხადა და იქ მოწეული მოსავალიც ხაზინისთვის უნდა ჩაებარებინა.

შემდგომში ცხოვრების წესის თანდათან შეცვლა, კერძოდ, 1895 წლიდან საძოვრების სახნავ სავარგულებად ათვისება, მიწათმოქმედების განვითარება და მარცვლეულის, პირველ რიგში ხორბლის მოყვანა დაიწყო. მეფის მთავრობის 1900 წლის 22 დეკემბრის კანონის საფუძველზე მთავრობაში უამრავი მოთხოვნა შედიოდა წითელწყაროს მიდამოებში დასახლების მსურველებისა. ისინი უმთავრესად სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი რუსი ჯარისკაცები იყვნენ, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ სამშობლოდან უკანვე საქართველოში ბრუნდებოდნენ დასასახლებლად და მიწებს მოითხოვდნენ. ასე გაჩნდა აქ სოფლები და შემდგომში დაერქვა წითელწყარო, ლენინოვკა, სეჩენოვკა და სხვა.

შირაქში საძოვრების სხვადასხვაგვარ გადანაწილებაში სარგებლობის უფლებას მთის მოსახლეობის ის ნაწილი იძენდა, რომელსაც საქონელი არ ჰყავდა. ეს მთიელები ჩქარა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათთვის გამოყოფილი საძოვრები სხვაგვარად გამოეყენებინათ, ხელი მოეკიდათ ხვნა-თესვისათვის-დასაწყისისთვის გადასახადების გარეშე, მხოლოდ დროებით მისვლით, ასეულ კილომეტრებზე მოსახნავად და მოსავლის ასაღებად, ხოლო 1900 წლიდან მოსავლის მოვლა - მოყვანისთვის თიანეთისა და დუშეთის მაზრებიდან წელიწადში ორჯერ შირაქში ჩასვლა უაზროდ ჩათვალეს. 1904-1905 წლებში შირაქში გადასახლებულთა რიცხვი გაიზარდა. დაიწყო საძოვრების მოხვნა- დამუშავება: ხორბლის, ქერის და ფეტვის მოსაყვანად. ამ წლებში სულ 200 დესეტინა ფართობი დამუშავდა. 1 დესეტინაზე გადასახადი 3 მანეთი იყო. 1905 წელს შირაქში ორი დასახლებული პუნქტი გაჩნდა: ქვემო და ზემო ქედი, რომლის მოსახლეობას უმამულო ფშავლები, მთიელები, მოხევეები, ხევსურები და სხვები შეადგენდნენ. შირაქის ველზე ამ ჩასახლებამ მომთაბარეთა, კერძოდ თუშებსა და ფშავლებს შორის, მღელვარება გამოიწვია. მთელი 1907-1908 წლები იმას დასჭირდა, რომ ჩასახლების საკითხი უსისხლოდ მოგვარებულიყო. ამ საქმეში სხვებთან ერთად ვაჟა-ფშაველა ჩაერია და საქმეც ფშავლების სასარგებლოდ გადაწყდა. იგონებდნენ, რომ ამ დავაში მაზრის უფროსი ჩაერია. მას ვაჟა- ფშაველა შეეკამათა, როცა არაფერმა გაჭრა „ნაჩალნიკს“ ერთი გვარი ანი სილა გააწნა და დაითანხმა.

1913 წელს ამ ორ სოფელში, ზემო და ქვემო ქედში სულ 350 კომლი ცხოვრობდა. ეს ამ ადგილების მეორე დასახლება იყო. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, აქ წარსულში ყოფილა სოფლები კარგად განვითარებული მეურნეობებით, რომელიც მტრის გამუდმებული თავდასხმების შემდეგ მომსპარა. ამაზე ნათლად მეტყველებს ნიადაგების დამუშავების დროს ნაპოვნი უძველესი პერიოდის საოჯახო ნივთები და ხალხური გადმოცემები. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით , სოფელ არხილოსკალოს ტერიტორიაზე სისხლისმსმელ შაჰ-აბასს 300 ძუძუმწოვარი ბავშვი ცხენის კევრით გაულეწია, ხოლო ცოცხლად დარჩენილი მოსახლეობა ირანში გაურეკია. გზად მიმავალი ქართველი ტყვეები თურმე ამბობდნენ: „არ იხილოს არსად თვალმა ასეთი კალო“, საიდანაც წარმომდგარა სოფელ „არხილოსკალოს“ სახელი.

შემდეგ პერიოდში დაიწყო საძოვრების ხარჯზე სახნავი ფართობების ათვისება და სოფლის სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანა, განსაკუთრებით მარცვლეულისა. 1926 წლის

დასასრულს კობა ჩოხელმა თავი მოუყარა სოფელ ზემო ქედის რჩეულთ და საქართველოს მთავრობას აცნობა კომუნის ჩამოყალიბება, ხოლო იმავე წელს ჯაფარიძეში შეიქმნა მიწის კოლექტიური დამუშავების ამხანაგობა. 1928 წელს ქვემო ქედში და არხილოსკალოშიც შეიქმნა კომუნები. 1932 წელს კომუნა გადაკეთდა სასოფლო- სამეურნეო არტელად და შეიქმნა ზემო ქედის კოლმეურნეობა, რომელიც სტალინის სახელს ატარებდა. კომუნები დაიშალა და არხილოსკალოსა და ქვემო ქედშიც ჩამოყალიბდა კოლმეურნეობები.

აღსანიშნავია, რომ შირაქში ყველა დასახლებულ სოფელში კოლმეურნეობები შეიქმნა. ეს მოძრაობა მასობრივად დაიწყო 1929 წლიდან და 1931 წლისათვის წითელწყაროს რაიონში უკვე 45 კოლმეურნეობა ფუნქციონირებდა. შემდგომში მცირერიცხოვანი კოლმეურნეობების გამსხვილების ხარჯზე ჩამოყალიბადა 11 მძლავრი კოლმეურნეობა, რომელიც რესპუბლიკაში მოწინავედ ითვლებოდა. ასეთები იყო: ზემო მაჩხაანის , გამარჯვების, ჯაფარიძის, ზემო ქედის, წითელწყაროს ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

1928 წელს შეიქმნა შირაქის საბჭოთა მეურნეობა,ხოლო 1932 წელს -ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც რესპუბლიკაში საუკეთესოდ ითვლებოდა. შირაქის ველზე სახნავ-სათესი ფართობები ჰქონდა სიღნაღის და ახმეტის რაიონებს და იგი 10000 ჰა შეადგენდა.

1962 წელს ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა შეუერთდა ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, ხოლო შირაქის მეურნეობის ბაზაზე მეფრინველეობის მეურნეობა შეიქმნა.

გარე კახეთის ზეგანის და კერძოდ, შირაქის ველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკური საკითხების შესასწავლად საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგური მუშაობდა. იგი ტერიტორიულად ჯერ შირაქში , შემდეგ ელდარში და უკანასკნელ პერიოდში სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკაში იყო.

მარცვლეული კულტურების სხვადასხვა ჯიშების გამოცდას და კვლევით მუშაობას აწარმოებდა ზემო ქედის კოლმეურნეობასთან

*(გაგრძელება გვ.5)*

# მე მათმა დიდმა სიყვარულმა დამაბრუნა...



ამ რამოდენიმე დღის წინ ოჯახურ შეხვედრაზე შემთხვევით მოვისმინე, რომ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ახალი დირექტორის ინიციატივით, სკოლაში მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასელთა უფასო გადამზადების პროცესს ჩაეყარა საფუძველი, ამასთან ერთად კიდევ ბევრი სხვა საინტერესო სიახლეების შესახებ შევიტყე, რომელიც სკოლის მმართველობის დასაწყისშივე გამოუვლენია ქ-ნ ნელის და ამ ყველაფრის პირისპირ მოსასმენად ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ საჯარო სკოლას ვესტუმრე.

დირექტორის კაბინეტში ახალგაზრდა, სანდომიან ქალბატონს შევხვდი, რომელიც უკვე 10 დეკემბრიდან უდგას სკოლას სათავეში. მე პირადად ქ-ნი ნელი პირველად “წმინდა ნინოს სახელობის” კერძო სკოლა-ლიცეუმში გავიცანი და მის შესახებ ბევრი კარგიც ბევრჯერ მსმენია...

მისი მინი დოსიე ასეთია:ნელი საბიაშვილი დაიბადა 1962 წელს ქ. წითელწყაროში, ქალაქის N საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე. 1994 წელს მუშაობა დაიწყო სოფ. წითელწყაროს ქართულ-რუსულ საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად და დღემდე მისი პედაგოგიური მოღვაწეობა უკვე 21 წელს ითვლის. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა როგორც რუსულ-ქართულ, ასევე “წმინდა ნინოს”, “ბენაურსა” და N1 საჯარო სკოლებში. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ჩვენი შეხვედრისას ძირითადად აქცენტები გაკეთდა სკოლაში არსებულ ვითარებასა და მიმდინარე პროცესებზე, სამომავლო გეგმებსა და სკოლაში განათლების ხარისხის ამაღლების თაობაზე. ამ დროისათვის სკოლაში 349 მოსწავლეა, ხოლო მოსწავლეთა თითქმის 40% სოციალურად დაუცველთა ოჯახიდანაა. სწორედ ამ მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, ქალბატონ ნელის ინიციატივით სკოლაში საფუძველი ჩაეყარა უპრეცედენტო ფაქტს, დაიწყო მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა უფასო გადამზადების პროცესი. მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები საატესტატო გამოცდებისთვის, ხოლო მეთორმეტე კლასის ბავშვები ეროვნული გამოცდებისთვის გაძლიერდებიან. ზოგად უნარებსა და მათემატიკაში მეცადინეობა უკვე დაიწყეს მსურველმა მოსწავლეებმა, ხოლო დანარჩენ საგნებში ცხრილები მზადდება და როგორც ახალმა ხელმძღვანელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სკოლის თითოეულმა პედაგოგმა გამოთქვა მზაობა მოსწავლეთა უფასოდ მომზადების პროცესზე.

- ყველას კარგად მოგვეხსენება, როგორ უჭირთ მაღალი კლასების მოსწავლეთა მშობლებს მათი მომზადება და რა თანხებთანაა დაკავშირებული, ეს პრობლემა სრულიად გაითავისეს ჩემი სკოლის პედაგოგებმა და მხარში ამომიდგნენ, მე ამ საქმეს მათი დიდი მხარდაჭერის გარეშე, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი. მე ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა ამ სკოლიდან დავიწყე, ჩვენმა მასწავლებლებმა მაშინ უდიდესი სიყვარულით მიმიღეს და ამ სიყვარულმა დამაბრუნა დღეს აქ. მინდა, სკოლაში შევქმნათ ისეთი კლიმატი, რომ მოსწავლეს გაკვეთილების შემდეგაც, თუნდაც ერთი საათით დარჩენის სურვილი ჰქონდეს. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგთა ურთიერთგანწყობა, რომელსაც მოსწავლეები ძალიან კარგად გრძნობენ, მინდა, მყავდეს ძლიერი და ერთ მუშტად შეკრული გუნდი, თუმცა, ძალიან კარგად მესმის, მათ ჩემგან ამის სწავლება არ ესაჭიროებათ. აქ არიან პედაგოგები, რომელთაც 40 წლიანი გამოცდილება აქვთ და ფანატიკურად უყვართ თავიანთი პროფესია. არანაკლები მოტივაცია და ცოდნა აქვთ ახალგაზრდა პედაგოგთა გუნდს, ისინი ჩართულები არიან სხვადასხვა სასკოლო პროექტებში, აქტიურად მონაწილეობენ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. სულ ახლახანს ჩვენი სკოლის სამმა მოსწავლემ ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგ რუსუდან გონაშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო განათლების სამინისტროს ორგანიზებით გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობითი სახის მოსწავლეთა კონფერენციაზე თემით “ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს”. კონკურსი სხვადასხვა თემატიკით წარიმართა, მათ შორის იყო ბლოგების შორის შეჯიბრება, სადაც მესამე ადგილზე ანა ბოლოთაშვილი, მარიამ ოთიაშვილი და მარი კაზარიანი გავიდნენ, მათ ფულადი ჯილდოებიც გადაეცათ. ჩვენს სკოლაში ტარდება აგრეთვე უფასო ტრენინგები”სწავლება ტექნოლოგიებით” მხოლოდ ჩვენი სკოლის მასწავლებლებისთვის. ისინი ეუფლებიან ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს და ცდილობენ, მათი დახმარებით უკეთესი გახადონ სწავლების პროცესი და ხარისხი. ტრენინგებს ატარებს ექსპერტ მასწავლებელი რუსუდან გონაშვილი, რომლის დამსახურებაცაა, რომ სკოლას Microsoft-მა საჩუქრად გადმოსცა ერთწლიანი ლიცენზია Microsoft 365-ის გამოყენებაზე. იგი გახლავთ აგრეთვე ამ კომპანიის მხრიდან მსოფლიო ლიდერ მასწავლებლად აღიარებული, “ჳილ-ფორუმ საქართველო 2013”-ს გამარჯვებული და მსოფლიოს საუკეთესო 250 პედაგოგიდან ერთ-ერთი. მე მეამაყება ასეთი მაღალი დონის პედაგოგები რომ არიან ჩვენთან. აქვე აღვნიშნავ,რომ ყველა პედაგოგი დამატებით მეცადინეობებს საზოგადოებრივ საწყისებზე ატარებს, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს. რა თქმა უნდა, სკოლაში არსებობდა ტექნიკური ხარვეზებიც, რომელთა აღმოფხვრას მოსვლის წუთიდან ვცდილობთ. გვერდში მიდგას და თავს არ ზოგავს როგორც სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე დავით ნატროშვილი, ასევე მთელი პედკოლექტივი და ზედა კლასის მოსწავლეები მშობლებთან ერთად.დაზიანებულია საწვეთურები,(ჟოლობები) ზოგიერთ საკლასო ოთახს ელექტროენერგია არ მიეწოდება, სააქტო დარბაზი არ არის მწყობრში, ამ და სხვა პრობლემებთან გამკლავებაში კი ყოველწუთიერ მხარდაჭერას ვგრძნობ თანამშრომლებისგან. სულ მოკლე ხანში ვხსნით ვაჟებისთვის “სახელობო”, ხოლო გოგონებისთვის “ხელგარჯილობის” წრეებს, მინდა, ჩვენი ბავშვები აქვე დაეუფლნენ სხვადსხვა ხელსაქმეებს და თავინთი ნიჭის რეალიზება სკოლიდანვე შეძლონ. წრეები, რა თქმა უნდა, უფასოა ჩვენი მოსწავლეებისთვის. თებერვლიდან მუშაობას იწყებს გახანგრძლივებული ჯგუფი, რომელშიც სწავლება უფასო იქნება, მხოლოდ კვების საფასურს გადაიხდიან მშობლები, თუმცა, სოციალურად დაუცველ ოჯახთა შვილებზე აქაც შეღავათები ამოქმედდება.იქიდან გამომდინარე, რომ ეს სკოლა ორენოვანია და რუსულ სექტორზე ბილინგვური სწავლებაა, ქართულ სექტორზეც 3-4 კლასებში მსურველთათვის რუსული ენის სწავლება დავიწყეთ. ასევე დიდი სურვილი მაქვს, ეფექტური გავხადოთ სკოლის თვითმმართველობა, ახლო მომავალში ვაპირებთ “სასკოლო კლუბის” შექმნას, სადაც მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ მოაწყონ პოეზიის საღამოები, მოიწვიონ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული სახელოვანი სპორტსმენები და სხვადასხვა პროფესიით ცნობილი სახეები. ვოცნებობ, ბავშვებისთვის “სპორტული კლუბის” გახსნაზე, თუმცა, ამას გარკვეული თანხები სჭირდება, მაგრამ, იმედს ვიტოვებ, ჩვენს სკოლას ყოფილი მოსწავლეების სახით დიდი გულშემატკივრები ჰყავს და როგორც არაერთხელ გაუწევიათ მეცენატობა, შესაძლებლობების ფარგლებში ახლაც დაეხმარებიან მომავალ თაობებს ოცნებების განხორციელებაში. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა 10 წლის შემდეგ იქნება ისეთი, როგორებიც არიან დღეს ეს ბავშვები და როგორც აღვზრდით დღეს მათ. ჩვენ დავიწყეთ კინოჩვენებებისთვის ოთახის მოწყობა, გვინდა ბავშვებს საუკეთესო ფილმების ნახვის შესაძლებლობა მივცეთ, ამასობაში წამოგვეწია განათლების სამინისტროს პროექტი”კინო სკოლაში”. ამ პროექტშიც ჩაებნენ მოსწავლეები, სამოტივაციო წერილი გაგზავნილი გვაქვს, ველოდებით პასუხს. დაგეგმილი გვაქვს სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილეობის მიღება, აქტიურად ვიმუშავებთ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებაზე, მათ მაღალზნეობრივ განვითარებაზე და ამ ყველაფერში კი მათი დიდი მონდომება დაგვეხმარება. მინდა, ჩვენი სკოლის სახელოვანი პედაგოგების თანადგომით სკოლაც ისეთივე სახელოვანი გავხადოთ, როგორიც ის წლების წინ იყო!- ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი ახალმა ხელმძღვანელმა და დაგვარწმუნა, რომ დანაპირებს შეასრულებს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ქალბატონ ნელის ხორნაბუჯის ქართულ-რუსული საჯარო სკოლის მიმართ მის მიერ გამოტანილი ვერდიქტის აღსრულებაში.




ელზა ხარაშვილი

# №2 ბაგა-ბაღს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ქალაქ დედოფლისწყაროს N2 ბაგა-ბაღს ახალი დირექტორი ჰყავს, მანანა ტოკლიკიშვილი. იგი დაიბადა 1960 წელს ქალაქ თბილისში, დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი ფილოლოგიის სპეციალობით, მუშაობდა ქალაქ თბილისის მე-8 სკოლაში, 2 წლით პიონერხელმძღვანელად, 10 წელი პედაგოგად, ხოლო, 5 წელი სასწავლო ნაწილის გამგედ. 1986 წელს მიენიჭა საქართველოს წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება. შემდგომი წლები შვილების აღზრდის გამო, დროებით უმუშევარი იყო. შემდეგ თბილისში კერძო ბაღში განაგრძო მუშაობა, 2014 წლის 15 მაისიდან მანანა ტოკლიკიშვილი დედოფლისწყაროს N1 ბაგა-ბაღში იწყებს მუშაობას, სადაც ძალიან კარგი კოლექტივი დახვდა და ამისთვის ის მადლობას უხდის N1 ბაგა-ბაღის თითოეულ თანამშრომელს, მშობლებს და აღსაზრდელებს. სულ ახლახანს ქალბატონი მანანა დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის დირექტორად დაინიშნა. მანანა ტოკლიკიშვილს ჰყავს მეუღლე მოსე ტოკლიკიშვილი და ორი ვაჟი ნიკოლოზი და ბექა ტოკლიკიშვილები. ნიკოლოზი კრიმინალურ დეპარტამენტში მუშაობს, ხოლო ბექა საუკეთესო სტუდენტია სოხუმის უნივერსიტეტში. წარმატებული დედა ამაყობს თავისი შვილებით და აცხადებს, რომ შვილები მისი სიმდიდრეა და ყველა დედას დაულოცავს შვილებს. რაც შეეხება N2 ბაგა-ბაღში განსახორციელებელ სამომავლო გეგმებს სხვა მრავალ აღმზრდელობით თუ შემეცნებით მუსაობასთან ერთად, ქალბატონ მანანას პრიორიტეტად აქვს დასახული ბაღში არსებულ 160 ბავშვს კიდევ უფრო სასიამოვნო და თბილი გარემო შეუქმნას, რათა პატარებმა ბედნიერად და ლაღად იგრძნონ თავი. წარმატებებს და მრავალი თაობის გამოზრდას ვუსურვებთ ახალ ხელმძღვანელს.

ლალი მეხრიშვილი



# საქველმოქმედო აქცია ბაგა-ბაღში



ამ მასშტაბის საქველმოქმედი აქციები დედოფლისწყაროში ბოლო წლების მანძილზე ალბათ არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციას არ განუხორციელებია. „კეთილი სამარიელი საქართველოს“ ხელმძღვანელი მერაბ ორაგულიძე და ამავე საზოგადოების აქტიური წევრი, ჩვენი თანამემამულე ზურაბ ჯორკოშვილი ჩვენი რაიონის ბაღის და სკოლის ბავშვებისთვის უანგაროდ არიგებენ გერმანელი ბავშვებისგან გამოგზავნილ სასაჩუქრე ამანათებს. ამ დღეებში მათ კიდევ ერთი მორიგი აქცია განახორციელეს ჩვენი მუნიციპალიტეტის N1 ბაგა-ბაღში. ამ ეტაპზე N1 ბაგა-ბაღის 56 აღსაზრდელმა მიიღო ამანათები, რომელიც ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა. ამანათებში დუტის ქურთუკები, შარფები, ქუდები, მანქანები, კალმები, სახატავები, კონსტრუქტორები და უამრავი წვრილმანი აღმოჩნდა, რომლებმაც პატარა ბავშვების გულები სიხარულით აავსო. ისინი ემოციებს ვერ ფარავდნენ და ერთმანეთის საჩუქრებს ხალისით ათვალიერებდნენ. –„უკვე მრავალი წელია, რაც ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ვარ და წლებია, ვცდილობ საჩუქრებით ჩემი რაიონის ბავშვები გავახარო. სწორედ ამიტომ ჩემი მეგობრები ბატონი ხვიჩა ჯიქია და მერაბ მეტრეველი ხელს მიწყობენ, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ბავშვებთან ერთად, ჩემი რაიონის ბავშვებსაც დავეხმაროთ. უგულო უნდა იყოს ადამიანი, რომ ბავშვების სიხარული და მათი ბედნიერი სახეების დანახვა არ აბედნიერებდეს, ჩვენ დღეს კმაყოფილები ვართ, რომ ამდენი დედოფლისწყაროს მკვიდრი პატარას ანთებული თვალები დავინახეთ, ბავშვებს ყურადღება, სიყვარული, სითბო და გალაღება სჭირდებათ, რასაც ჩემის მხრიდან, როგორც შემეძლება, გპირდებით, რომ არ დავიშურებ!“ - ამბობს ჩვენთან საუბარში „კეთილი სამარიელი საქართველოს“ წარმომადგენელი ზურაბ ჯორკოშვილი.

-„კეთილი სამარიელი საქართველოს“ ჩვენს საბავშვო ბაღში პირველ აქციას ახორციელებს, ცხადია, აქციამ ძალიან გაახარა ჩვენი აღსაზრდელები და მათ შორის ჩვენ, პედაგოგებიც, მივესალმებით ასეთ ინიციატივებს და მადლობას ვუხდით აქციის მონაწილეებს, განსაკუთრებით კი, მერაბ ორაგულიძეს, ხვიჩა ჯიქიას და ზურაბ ჯორკოშვილს. დარწმუნებული ვართ, აღნიშნული სასაჩუქრე ამანათები სიურპრიზი აღმოჩნდება ჩვენი პატარების მშობლებისთვისაც. მართალია, ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენს აღსაზრდელებს არ აკლიათ არც კვება და არც საკანცელარიო ნივთები მეცადინეობებზე, მაგრამ , დამერწმუნეთ სამოსისა და სხვა უამრავი წვრილმანი ნივთის საჩუქრად მიღება მათ მთელი ცხოვრება დაამახსოვრდებათ, შეხედეთ, მათი თვალები სიხარულითაა გაბრწყინებული, მე კი, ეს ძალიან მახარებს!“ -აღნიშნა ჩვენთან N1 საბავშვო ბაღის დირექტორმა ქეთევან დოლიძემ.

წარმატებებს და კვლავ უამრავი აქციის ჩატარებას ვუსურვებთ „კეთილ სამარიელ საქართველოს“ წარმომადგენლებს. აღნიშნულ ღონისძიებას სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან ესწრებოდნენ ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი და მისი მოადგილე ირმა იაკობიშვილი .

ლალი მეხრიშვილი



# შირაქის ველი გუშინ და დღეს

*(მესამე გვერდიდან)*

არსებული ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი, რომელიც განუკითხაობის გამო გაუქმდა და არსებული ბაზა განადგურდა, ხოლო ჯიშთა გამოცდის კუთვნილი 100 ჰექტარი სახნავი ფართობი კერძო მფლობელობაში გადავიდა, რაც ძალზე სავალალოა. ამის შედეგად შირაქის ზონა ჯიშთა გამოცდის სადგურის გარეშე დარჩა.

რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერებმა და მკვლევარებმა სხვადასხვა სახის გამოკვლევები ჩაატარეს შირაქის მიწებზე და მიიღეს სწორი აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემები, რომელსაც დღესაც მრავალი ფერმერი და მიწათმოქმედი იყენებს.

შირაქის ველის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები ასეთია: მდინარეებს: იორსა და ალაზანს შორის მდებარეობს გარე კახეთის ზეგანი და ამ ზეგანზეა გაშლილი შირაქის ველი. ზემოდან რომ დავხედოთ, მთელი ტერიტორია მოგვაგონებს ტბის აუზს. იგი სუსტი ტალღისებური ფორმისაა. შირაქის მასივი ზღვის დონიდან 555 მეტრზე მდებარეობს. აქ სუსტად განვითარებულია ჰიდროლოგიური ქსელი, მდინარეები არ არის. მდინარე იორი შირაქიდან 30-40 კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო მდინარე ალაზანი 20-25 კმ-ით. ეს ტერიტორია უწყლო მხარეა, მშრალი ხევებითაა დასერილი. წვიმები მეტწილად თქეშისებური და ნიალვრიანია, უცბად ჩაირბენენ ნიადაგის ზედაპირზე. ზამთარი უთოვლო და მცირენალექიანია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 501 მმ-ია. საშუალოდ იანვარ-თებერვალ-მარტში სულ 68 მმ ნალექი მოდის, აპრილში -49მმ, მაისში-87, ივნისში-76 მმ, ივლისში-50მმ, აგვისტოში-39 მმ, სექტემბერში-43მმ. ოქტომბერში-40მმ, ნოემბერში-29მმ და დეკემბერში-20მმ.

შირაქის ველის კლიმატი კონტინენტურია და ზეგანის ველის კლიმატს აკუთვნებენ.

კონტინენტურობის გამო იგი გამოირჩევა ზომიერად თბილი ზამთრით, ცხელი და მშრალი ზაფხულით. ჰაერის წლიური ტემპერატურა 10.3 გრადუსია. ტემპერატურის მინიმუმი დეკემბერში და იანვარში -3,8-0,3 გრადუსს შეადგენს.ყველაზე ცხელი თვეებია ივლისი და აგვისტო(27-28) უყინვო პერიოდი შირაქში 175 დღეა.



შირაქის ველზე გაბატონებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულების მქროლავი ქარები და პირიქით. ზომიერ წელს ზამთარში და გაზაფხულის თვეებში (განსაკუთრებით თებერვალ-მარტში) იცის ძლიერი ქარები. ქარის წლიური საშუალო სიჩქარე შეადგენს 1,2 მეტრ/წამს, მაგრამ ზოგიერთ წლებში ისეთი შტორმული ქარები იცის, ნათესსა და ნარგავებს ანადგურებს.

შირაქის ველი მიეკუთვნება შავმიწა ნიადაგებს. უმეტესად პერიფერიულ ნაწილებშია, ვიდრე ცენტრალურში. აქ გვხვდება ჰუმუსის ფენის მიხედვით ღრმა (60სმ), საშუალო (30-60) და მცირე (30-60) და მცირე (30სმ) სიღრმის შავმიწები. ამ ნიადაგებში ნეშომპალის შემცველობა თანდათან კლებულობს და იგი 5-6% მერყეობს. წყალში ხსნადი მარილები მცირეა. სულფატებს ნიადაგები არ შეიცავს, ამით მტკიცდება, რომ დიდ მოთხოვნილებას უყენებენ ფოსფორს. აზოტით ეს ნიადაგები საშუალოდაა უზრუნველყოფილი, მაგრამ ნიტრატული აზოტი მცირე რაოდენობითაა. კალიუმის რაოდენობა მაღალია და 1,9-2% უდრის. ნიადაგების ხვედრითი წონა 2,2-2,7% უდრის. მოცულობითი წონა 1,1-1,3 %. ხოლო ფორიანობა 40-50%. შირაქის ველი საქართველოს რესპუბლიკაში ცნობილია როგორც, პურის ბეღელი“. აქ ძირითადად იწარმოება საშემოდგომო ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი, მზესუმზირა, როგორგ ერთწლიანი, ისე მრავალწლიანი ბალახები და საკვები კულტურები.

შირაქის ველის მთელი ტერიტორია 22 ათასი ჰექტარია.1970-იან წლებში შირაქის ტერიტორიაზე ჩატარდა მთელი ფართობის მიწათმოწყობა, რომლის სამუშაოები საქართველოს მიწათმოწყობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეასრულა. ამით ფასდაუდებელი საქმე გააკეთა, გაშენდა ქარსაცავი ზოლები და მისმა ფართობმა 750 ჰექტარს მიაღწია. ეს ზოლები სატყეო მეურნეობებმა გააშენა, რომელსაც მუშა-ხელით და ტექნიკით კოლმეურნეობები ეხმარებოდნენ. სწორედ ქარსაცავი ზოლების შედეგი იყო, რომ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. მაგრამ უკანასკნელ წლებში ქარსაცავი ზოლების გამეჩხერიანება დაიწყო როგორც მეცხოველეობის ცუდი ზემოქმედებით, ისე ხელოვნური გაჩეხვით. და თუ ასე გაგრძელდა, შირაქის ველი კატასტროფის წინაშე დადგება და ძლიერი ეროზიული მოვლენები განვითარდება. ამის შედეგი უკვე მოიმკო რაიონის მოსახლეობამ.

1992 წლიდან დაიწყო მიწის რეფორმა. დაიშალა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მიწები განაწილდა ფერმერებზე და მიწათმომხმარებლებზე. ჩატარებულმა მიწის რეფორმამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგი გამოიღო. კერძოდ, შირაქის მასივში დღეს ძირითადად მხოლოდ ორი კულტურის საშემოდგომო მარცვლეულის და მზესუმზირის მოვლა-მოყვანა ხდება. ირღვევა აგროტექნიკური ღონისძიებათა ვადები, რის შედეგადაც უარესდება ნიადაგების ფიზიკური და ქიმიური თვისებები, ხოლო ყველაზე უარყოფითი მხარე ისაა, რომ შირაქის მასივში არსებული მიწები დაყოფილი იყო 50-60-100 და 200 ჰექტრიან მასივებად, მაგრამ კერძო მფლობელებმა ამ მასივების დაქუცმაცება დაიწყეს. მაგალითად, 100 ჰექტრიან ნაკვეთს ხშირად 20-30 და მეტი მეპატრონე ცალ-ცალკე ამუშავებს, ყოველივე ეს კი უარყოფით შედეგებს გვაძლევს.

საერთოდ, შირაქის ველის ამჟამინდელი მდგომარეობა საგანგაშოა. მოითხოვს სხვანაირ მიდგომას და ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას ქვეყნის ან რაიონის ხელმძღვანელობამ ცნობილი მეცნიერებისა და მკვლევართა აზრის გათვალისწინებით.

შალვა თეთვაძე - **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი**

# მუზეუმს ესტუმრნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები მუზეუმს ეწვივნენ და დედოფლისწყაროს ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომლებს პირადად გაესაუბრნენ. ისინი აქ არსებულ პრობლემებს ადგილზე გაეცნენ.

მუზეუმის შენობა მეცრამეტე საუკუნის ოციან წლებში დრაგუნთა პოლკის ოფიცერმა ნეჩვოლოდოვმა ააგო. ამ დღიდან ის ერთგვარი კულტურული ცენტრი გახდა, რადგან რუს ოფიცერს ხშირად სტუმრობდნენ წითელწყაროში გადმოსახლებული დეკაბრისტები და ინტელიგენციის რუსი და ქართველი წარმომადგენლები, მათ შორის- ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა და სხვები.

თითქმის ორასწლოვანი შენობა მრავალი წლის განმავლობაში არ შეკეთებულა, აქ ასევე არ არის გაზი და წყალი. შესაბამისად, საფრთხე ექმნება მუზეუმში დაცულ ექსპონატებს.

„არ გვინდა მოგცეთ ტყუილი დაპირებები. ყველა პრობლემას საკრებულოს შესაბამისი კომისია შეისწავლის და დეტალურ სამოქმედო გეგმას დასახავს. ვხედავთ, რომ მუზეუმს არაერთი პრობლემა აქვს და პირველ ეტაპზე ყველა მათგანის მოგვარება ვერ მოხერხდება, რადგან ეს დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში დავსახოთ სამოქმედო გეგმა და, შესაძლებლობის ფარგლებში, დავიწყოთ სარეაბილიტაციო სამუშაობის წარმოება"- განუცხადა მუზეუმის თანამშრომლებს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილმა.



# „სადაურსა სად წაიყვან"...

***ძვირფასო მკითხველო, არაერთხელ გვითქვამს, რომ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ბევრი საინტერესო და უნიკალური მასალა ინახება, რომელსაც საზოგადოება ნაკლებად იცნობს, რადგან მრავალ მიზეზთა გამო ხალხი მუზეუმებში აღარ დადის. უფროსები კი არა, ის ტრადიციაც მოიშალა, როცა კლასის ხელმძღვანელები ორგანიზებას უკეთებდნენ მოსწავლეებს და კოლექტიურად მიდიოდნენ მუზეუმში. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არც მუზეუმს აქვს სათანადო პირობები, მოაწყოს ექსპოზიციები, თემატური გამოფენები. ამიტომ, ჩვენი გაზეთის მეშვეობით ხშირად გთავაზობთ მუზეუმში დაცულ დოკუმენტურ მასალებს იმ ადამიანებსა თუ ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც ნაკლებად ცნობილია მასებისათვის. ამჯერად მოგითხრობთ ჩვენი თანამემამულის ვასილ ლაპიაშვილის საინტერესო და რთული ცხოვრების შესახებ, რომელიც მომზადებულია*** **მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსკურსიამძღოლის დალი ბაღაშვილის** ***მიერ.***



ვასილ ლაპიაშვილი შვილთან, თამართან ერთად

ჩვენი რაიონის საამაყო შვილების- თამარ და ფარნაოზ ლაპიაშვილების შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. თამარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი იყო, მისი ბიძაშვილი–ფარნაოზი კი–საქართველოს სახალხო მხატვარი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. თუმცა, დღეს მკითხველს გვინდა გავაცნოთ ლაპიაშვილების შტოს კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელის, თამარის მამის, **ვასილ ლაპიაშვილის** ცხოვრების ზოგიერთი უცნობი დეტალი.

როგორც თამარ ლაპიაშვილის ვაჟი ჯუნა ტატიშვილი განმარტავს, ლაპიაშვილების წინაპრები ქიზიყში საინგილოდან გადმოსულან და სოფელ მირზაანში დასახლებულან. მამულის წინაშე დამსახურებისათვის მე-18 საუკუნეში ერეკლე მეფის მიერ მათ აზნაურის ტიტული ებოძათ.

ვასოს მამას, მალხაზ ლაპიაშვილს, იმდროინდელ წარჩინებულ და შეძლებულ აზნაურს, 3 ვაჟი ჰყავდა: ნიკო, ვასო (თამარის მამა) და გიორგი, იგივე გიგო (ფარნაოზის მამა).

უმცროსი ვაჟი-გიგო, ქაქუცა ჩოლოყაშვილის წერილის გამო დახვრიტეს. არსებობს ვარაუდი, რომ წერილი, რომელიც მას აღმოუჩინეს, წაკითხულიც არ ჰქონდა, რადგანაც „ჩეკისტებს" დაუკავებიათ ის ბიჭი, რომელსაც მასთან წერილი მიჰქონდა, შემდეგ შეუშვიათ ეს ბავშვი მასთან, თვითონაც უკან მიჰყოლიან და დაუჭერიათ. იგი ე.წ. რევოლუციური „სამეულის" ხელმოწერილი დოკუმენტის საფუძველზე სასამართლოს გარეშე დახვრიტეს.

რაც შეეხება მალხაზის უფროს ვაჟს–ნიკოს, მას იმ დროისათვის სათავადაზნაურო ბანკის მმართველის თანამდებობა ეკავა. რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატებმა ბანკის გატეხვა შესთავაზეს, რაზედაც უარი მიიღეს. ამიტომ, ერთ დღეს, ვახშმის შემდეგ, ნასვამი შესვეს სხვის ცხენზე, შინ მიმავალს კი, გზაში ესროლეს და დაჭრეს. თავის ცხენზე რომ მჯდარიყო, ცხენი სახლში მიიყვანდა და უშველიდნენ, რადგან ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, მაგრამ უცხო ცხენმა მთელი ღამე ატარა და სისხლისგან დაიცალა.

ცოცხალი მხოლოდ საშუალო ძმა–ვასო გადარჩა და, ფაქტობრივად, 12 ბავშვის — 3 ნიკოს, 4 გიგოს და 5 თავისი შვილის მზრუნველობაც მას აუღია თავის თავზე. სწორედ მათ გამო იტანდა იგი ხელისუფლებისაგან ზეწოლას. რომ გაქცეულიყო, ამდენ ბავშვს ვინ მიხედავდა?!

ვასოს ოჯახი მატერიალურად ძლიერი ყოფილა. საკმაოდ მდიდარ გლეხად ითვლებოდა, მისდევდა მესაქონლეობას, მაგრამ საქართველოს „გასაბჭოების" შემდეგ ცხვრის ფარაც, ორსართულიანი სახლიც სოფელ მირზაანში ჩამოართვეს, ყველაფერი გაუყიდეს და ცარიელი კედლებიღა დაუბრუნეს.

**ცნობისათვის:** ვასო და ნიკო ფიროსმანი კარის მეზობლები ყოფილან, ერთი ღობე ჰყოფდათ თურმე. ვასომ თავიდან მოაწყო სახლი და საცხოვრებლად ისევ ვარგისი გახადა. მერე ისევ ჩამოართვეს... ბოლოს, თბილისში იყიდა რამდენიმე სახლი და საცხოვრებლად იქ გადავიდა. მისი დატოვებული სახლებიდან მხოლოდ ერთიღაა შემორჩენილი გოგოლის ქუჩაზე, სადაც ვასოს ძმის-გიგოს ოჯახი ცხოვრობს.

ვასილ ლაპიაშვილი საბჭოთა მეურნეობაში დასაქმდა. მუშაობდა ზოოტექნიკოსად. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ხირსის საბჭოთა მეურნეობა. საზეიმო გახსნაზე ლავრენტი ბერიაც ჩამოსულა. ვასოს დაუნახავს, როგორ ჩამოდიოდა ვაგონიდან და მისი მოკვლა განუზრახავს. ხელი ჯიბისკენ წაუღია (მაუზერი მუდამ ჯიბეში ჰქონდა), ბერიას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი მოძრაობა და უკან შებრუნებულა. თუმცა, კარგად დაუმახსოვრებია მისი სახე. მზვერავისთვის 20 დავალება მიუცია, ერთ-ერთი ვასოს მოკვლაც ყოფილა. მკვლელი ჩასაფრებია კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში გადაუფიქრებია, უთქვამს, 19 დავალება შევასრულე და ამ ერთის შეუსრულებლობას ბერია მაპატიებსო. რადგან ტყვიას გადაურჩა, განიზრახეს მისი დაჭერა. ერთ დღეს მეურნეობაში კაცი მისულა და უწყება ჩაუბარებია, – „ჩეკაში" გიბარებენო. ვასოს მწყემსებისათვის ხელფასი ჰქონია დასარიგებელი და უთქვამს- ფულს დავარიგებ და მოვალო. რაღაც თანხა ამ კაცისათვისაც უჩუქებია. სანაცვლოდ მას გულახდილად უთქვამს, კარგ საქმეზე არ გიბარებენო. ვასომ საქართველოს დატოვება განიზრახა. თურქეთის საზღვრამდე იგი მწყემსმა მიიყვანა. ვასომ მწყემსს გარკვეული რაოდენობის ოქრო აჩუქა, უკან გამოაბრუნა და თავისი ცხენიც გამოატანა, რომ არ ეთქვათ,– მეურნეობის ქონება საზღვარგარეთ გაიტანაო.

თურქეთში ვასოს მეგობრები ჰყავდა. მათი იმედი ჰქონდა, მაგრამ თურქეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით, თურქეთის მთავრობა ვალდებული იყო, დაეჭირა და რუსეთისთვის გადაეცა. მეგობრების რჩევით, ვასო ირანში გადავიდა, (ფიქრობდნენ, იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა). გარკვეული სიმდიდრე მან იქაც დააგროვა. კარგად იცოდა აღმოსავლური ენებიც. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვარიანტი ჰქონდა უმდიდრესი ადამიანი გამხდარიყო (მაგალითად, ავსტრიაში წასულიყო, სადაც მეცხვარეობა კარგად იყო განვითარებული და წარმატებისთვის მიეღწია), ირანიდან არსად წასულა-ერჩივნა, საქართველოსთან ახლოს ყოფილიყო. თუმცა, ხიფათს ვერც იქ გადაურჩა. ირანელებმა დაიჭირეს, კომუნისტობა დააბრალეს და დახვრეტა მიუსაჯეს. აქაც ფულმა უშველა, ქამარში ჰქონდა ჩაკერებული, მოიხსნა და მკვლელებს გადაუგდო. ასე გადაურჩა სიკვდილს.

სიბერეში ვასო ირანის საელჩოში მებაღის დამხმარედ მუშაობდა. ელჩთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ის ეუბნებოდა თურმე- აქ დარჩი, საქართველოში რა გინდა, იქ ვის ახსოვხარო? - ვასოს თავისი ქალიშვილის თამარის გაგზავნილი სურათი უჩვენებია, სადაც მთელი ოჯახი ყოფილა გადაღებული, – აი, ამდენი ადამიანი მელოდებაო.

თამარი ბევრს ცდილობდა, მამის ჩამოყვანის უფლება მიეღო. მოხუცებულიც იხვეწებოდა-საქართველოში დამაბრუნეთო.

მანამდე საინტერესო ამბავი მოხდა — მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს, თეირანის კონფერენციაზე, ოპერიდან საკონცერტო ბრიგადა წავიდა. თამარი, როგორც ცნობილი სოლისტი, სიაში იყო ჩაწერილი, მაგრამ, როდესაც გაიგეს, რომ მამა ირანში ჰყავდა, სიიდან ამოიღეს.

1954 წელს თამარმა პირველი წერილი გააგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც ითხოვდა მამის რეაბილიტაციას. პასუხი დამცინავი იყო – ერთი წლის შემდეგ მოგვმართეთო. თამარი აგრძელებდა წერილების წერას. ასე გრძელდებოდა 1960 წლამდე. ბოლოს მან სამ მისამართზე გაგზავნა განცხადება– სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ორგანიზაციაში „საერთაშორისო კომიტეტი სამშობლოში დაბრუნებისათვის". ეს კომიტეტი ბერლინში იყო განთავსებული. ერთ კვირაში მოვიდა კომიტეტიდან პასუხი მოთხოვნით–გამოგზავნეთ ცნობები საცხოვრებელი ადგილის ფართისა და იმის შესახებ, რომ ვასო ლაპიაშვილი მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებაო. ცნობები გაიგზავნა და კვლავ პასუხი — „ვ. ლაპიაშვილი ამ დღეებში სამშობლოში დაბრუნდება და დახვდით". ეს იყო 1960 წლის 17 მარტი. დახვდნენ შვილები და შვილიშვილები ნავთლუღის სადგურზე. ვასო 30 წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, საკმაოდ მოხუცებული. დაბრუნებულს პასპორტი მანამდე არ მისცეს, სანამ მთელი დოკუმენტები არქივს არ ჩააბარა. ჩამოსვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ გარდაიცვალა.

მას დარჩა 4 ქალიშვილი; ეკატერინე, თამარი (ოპერის სოლისტი), ელენე, (მარიკა) და ერთი ვაჟი – ნიკო;

ნიკო საკმაოდ ცნობილი არქიტექტორი გახლდათ – ე.წ. „ბორჯომის ვაგზალი" მისი დაპროექტებულია და ამის გამო სახელმწიფო პრემიაც აქვს მიღებული.

* * *

ეს საინტერესო მასალები მუზეუმს თამარ ლაპიაშვილის ვაჟმა - ჯუნა (ჯუანშერ) ტატიშვილმა მიაწოდა. მასალები დაამუშავა მუზეუმის ექსკურსიამძღოლმა დალი ბაღაშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით ორივე მათგანს. მათ ჩვენი რაიონის ისტორიას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შემატეს.

ნაირა გორაშვილი



ვასილ ლაპიაშვილი

## ბადრი შარვაძე



ოცი წელი გახდება სამ თებერვალს, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე უდიდესი ტკივილი და სევდა.მხოლოდ 49 წელი გაკმარა განგებამ საცხოვრებლად ამ წუთისოფელში. შენ ხომ ტბილი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე ადამიანი იყავი, ყველას ხელს უმართავდი, თანადგომას არ აკლებდი.

შენი ოჯახის მონა იყავი, ბადრი, დიახ მონა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ოჯახისადმი შენეულ ზრუნვას, სიყვარულსა და ერთგულებას ალბათ ბევრი ვერ დაიკვეხნის.

რაგინდ დაღლილი და დაქანცული მოსულიყავი სამსახურიდან, შენი საფიცარი ილიკო თუ შინ არ დაგიხვდებოდა, არავინ და არაფერი არ გახსოვდა. ის რომ კარს შემოაღებდა, თითქოს ცა გაეხსნაო, დამშვიდებულს ღიმილით გაგებადრებოდა სახე. შვილის სიყვარულით გაგიჟებული მამა იყავი, მის იქით ვერაფერს ხედავდი.

შენ არამარტო კარგი მეუღლე, არამედ უდიდესი სულიერი მეგობარი იყავი ჩემთვის. ჩვენ ხომ სიყვარულით სავსე ოჯახი გვქონდა, ყველა შემონატროდა ჩვენს ურთიერთობას. სამაგალითო, ბედნიერი და ლამაზი ცხოვრებით ვცხოვრობდით ოცწელიწადნახევარი. ჩემს ქმარშვილთან ერთად ყოველი დღის გათენება მახარებდა. ახლა კი შენი თბილი სიტყვები და იმედი, გვერდში დგომა ძალიან მაკლია.

უაღრესად მოწესრიგებული, კულტურული და მაღალი ზნეობის ადამიანი იყავი. კარგი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდი ნათესავებში, მეგობრებში,რაც მთავარია, შენს სამსახურში. წლების განმავლობაში მუშაობდი თბილისში "საქნავთობში"ჭაბურღილების მშენებლობის უბნის უფროსად და ყველა გიცნობდა, როგორც შენი საქმის კარგ სპეციალისტს და კეთილშობილ ადამიანს. სიცოცხლის ბოლო ორი წელი კი მერიის „ნავთობბაზის" დირექტორის მოადგილე იყავი და იმ მოკლე დროში იქაც კარგი ადამიანის სახელი დატოვე.

მაგარამ ვაი, რომ სრულიად მოულოდნელად დაგილამდა, თანაც მაშინ, როდესაც ამის საშიშროება თითქოს არაფრით იყო განპირობებული. შენმა უეცარმა წასვლამ ყველას თავზარი დაგვცა. დაგვიტოვე გულში მოუშუშებელი ტკივილი, რომელსაც წლები ვერაფერს აკლებს.

წახვედი და შენი წასვლით ოჯახს გამოეცალა ძლიერი საყრდენი, წალმა დატრიალდა ჩვენი ოჯახის ჩარხი.იმ დღეს დამთავრდა ჩემთვის ყოველგვარი პირადული. ქალისათვის ქმარი ხომ "ფარია", კარგი ქმარი კი "ფარ-ხმალი". ამიტომაც, შენ ჩემი ძლიერი მფარველი და იმედი იყავი. 20 წლის ასაკში ობლად დატოვე შენი ილიკო, მეოთხე კურსის სტუდენტი, ეს იმ დროს, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა მამის ძლიერი ხელი და გვერდში დგომა. ქვეყანაშიც სიტუაცია აირია და ამანაც შეუწყო ხელი ჩვენი ოჯახური პირობების შეცვლას.

დასანანია, რომ შენ არ გეღირსა ბაბუობა, შენ ვერ გაიხარე შენს შვილიშვილებთან-ნიასთან და პატარა ილიკოსთან. ვერ გაათამამე და ვერ გაანებივრე ისინი ისე, როგორც მათი მამა გყავდა უზრუნველი და გალაღებული, მხოლოდ ფოტოებიდან გიცნობენ, ვაი რომ შენ ასეთი ბაბუობის ღირსი არ იყავი.

შენი წასვლის შემდეგ მთელ იმედებს ჩვენს ერთადერთ შვილზე ვამყარებდი, მისი ცხოვრებით ვცხოვრობდი და მისი სიხარულით ვხარობდი. ის იყო ჩემი ცხოვრების მანათობელი ვარსკვლავი.

მაგრამ, რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი დიდი უბედურება დამატყდებოდა უეცრად თავს. ჩემმა ილიკომ მომისპო სიცოცხლე, გამანადგურა და დამტოვა უპატრონო მიცვალებული და სამუდამო სატანჯველი მომისაჯა.

ბადრი, შენ ბედნიერი ყოფილხარ, რომ ამ უბედურებას არ მოესწარ, თუმცა, ახლა დარწმუნებით ვიცი, რომ მანდ ბედნიერი და გახარებული ხარ, 18 წლის უნახავი შვილი მოგივიდა და ჩაიკარი გულში დიდი სიყვარულით. მამა-შვილი წერეთლის პროსპექტიდან ვაშლიჯვარის სასაფლაოზე გადასახლდით და იქ დაიმკვიდრეთ სამუდამო სასუფეველი.

გულს თითქოს იმით ვიმშვიდებ მე უბედური, რომ კარგი მამა ჰყავს ჩვენს შვილს მანდ პატრონად, ამიტომ არაფრის დარდი არ ექნება მას და არაფერი არ შეაწუხებს-მეთქი.

მაგრამ ვიცი, ბადრი, რომ ჩემი ჯავრი მანდაც არ გასვენებს, რადგან იცი, როგორი გაუბედურებულიც ვარ დარჩენილი, უთქვენოდ ჩემს სიცოცხლეს რა ფასი აქვს? ამიტომ, გთხოვთ, წამიყვანოთ, მკლავს ჩემი ილიკოს მონატრება, სადაც ჩემი ქმარ-შვილია, ჩემი ოჯახიც იქ არის. აქ არაფერი არ დამრჩენია, რაც დასათმობად დამენანება.

სამი თვის წინ ჩემი მოხუცი და გატანჯული დედაც თქვენთან წამოვიდა,. მას ჯერ შენ ატკინე გული შენი წასვლით, ახლა კი მისმა საყვარელმა შვილიშვილმა გაუმწარა სიბერე. შევნატრი მას, რომ მოვა თქვენთან, ჩაგიკრავთ გულში და მოგეფერებათ მონატრებულ სიძესა და შვილიშვილს.

ნათქვამია:"წასვლა, ისე როგორც დაბადება, უფლის ნებააო", რომელსაც, სამწუხაროდ, ვერავინ შეცვლის. გასაკვირია უფლის ნება, უკვე ოცი წელია, ვცხოვრობ უშენოდ, ტკივილით სავსეა ჩემი გული, შენ მეგულები ზეციურ მფარველად,გწამდეს, თქვენს ხსოვნას ჩრდილი არასოდეს მიეკარება. ჩემო საყვარლებო, თქვენი სიცოცხლე თქვენს შვილებსა და შვილიშვილებში გაგრძელდება, იხარებს და გამრავლდება თქვენი გენი.

გარდაცვალების შემდეგ დატოვებული კარგი სახელი სიცოცხლის გაგრძელებააო. ლოცვით, ფსალმუნის კითხვით, თქვენს სახელზე დანთებული სანთლებით გაგინათებთ გზას სამუდამო სასუფეველში.

უზომოდ მენატრებით, კურთხეულ იყოს ეს მონატრება, საუკუნოდ იყოს ხსენება თქვენი, ამინ!

**შენი მეუღლე**
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე

## დარეჯან ბეგიაშვილი



ჩვენო ძვირფასო შვილო, 1 თებერვალი შენი დაბადების დღეა. ამ დღეს 37 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ვაი, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილს მხოლოდ 35 ლამაზი დაბადების დღე გარგუნა განგებამ. ეს მეორე დაბადების დღეა უშენოდ, შვილო, ვერავინ და ვერაფერი შეცვლის უშენობით გამოწვეულ ტკივილს შენი უბედური მშობლების გულში. ძალიან ძნელია ვუყურებდეთ შენს შვილებს, რომლებსაც დედის სითბო და ალერსი ასე ძალიან ენატრებათ. მაგრამ, ვაი, რომ შენს შვილებს ჩვენს მეტი პატრონი არ ჰყავთ. ეს მძიმე ტვირთია ჩვენთვის, მათ არც ცრემლი უნდა ვაჩვენოთ და არც დარდი. ისედაც ხომ დაჩაგრულები არიან. ჩვენ მაშინ მოვალთ შენთან , როცა შენი სულის წინაშე პირნათელები ვიქნებით. კარგად და სწორად აღვზრდით შენს დანატოვარ ორ ძვირფას არსებას, რომელსაც შენი ანა და ნიკოლოზი ჰქვია. ჩვენთან ერთად შენს დაკარგვას ცხარე ცრემლით დასტირიან შენი დები და სიძეები, რომლებიც ძალიან ცდილობენ დედის სითბო მისცენ და აგრძნობინონ მათ. ცხოვრებას აგრძელებენ შენზე ტკბილი მოგონებებით. მათ გულში შენ მუდამ მოუშუშებელ ტკივილად დარჩები. ძველით ახალ წელს ყველანი შეიკრიბნენ ჩვენს ოჯახში, რათა ერთხელ კიდევ მოვსულიყავით შენს საფლავზე, აგვენთო წმინდა სანთელი და უფლისთვის გვეთხოვა შენი სულის მარადიულ სასუფეველში დამკვიდრება. ჩვენ დიდ ტკივილს ყოველთვის უერთდებიან შენი ახლობლები.

ლეილა დეიდა, შენი დეიდაშვილები, შენი ნინო, რომლებიც არც უამინდობას და არც სხვა პრობლემებს არ უშინდებიან, მუდამ ჩვენს გვერდით არიან. ამ ახალ წელსაც თავის ქმარ-შვილთან ერთად ჯერ შენს საფლავზე მოვიდნენ და მერე შენს უბედურ მშობლებთან და შენს ობოლ შვილებთან. შვილო, მინდა, შენი სული მშვიდად იყოს, სანამ მე და მამაშენი ცოცხლები ვიქნებით, შენს შვილებს არაფერი მოაკლდებათ. ბოლომდე ვიბრძოლებთ მათ სასიკეთოდ. ყველაფერს მივცემთ, რის მიცემასაც შევძლებთ შენი დების და სიძეების გვერდში დგომით. კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს. მსუბუქი იყოს შენი მშობლიური მიწა შენს გულზე. ჩვენ კი სანთელ-საკმეველს არ მოგაკლებთ.

**შენი უბედური მშობლები:** მარინა, ნიკო; **დები:** ხათუნა, ქეთი ბეგიაშვილები; **შვილები:** ანა, ნიკოლოზ პოპიაშვილები.

## გელა გიგაშვილი



1973 წლის 8 იანვარი ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თარიღია. ამ დღემ სამუდამოდ შეცვალა ჩემი ცხოვრება. გავხდი დედა და ვიგრძენი, რომ ჩემს სიცოცხლეს აზრი მიეცა. ამ დღის მერე ჩემი ბედნიერება იყავი, მანამ სანამ ცივი, მკაცრი, დაუნდობელი 2012 წლის დეკემბერი წამართმევდა შენს თავს და გულს სამუდამოდ განმიგმირავდა. ამ საშინლად მტკივნეული დღის შემდეგ 3 წელია გასული, თუმცა ჩვენი გული კვლავ სავსეა მონატრებით და მოუშუშებელი ტკივილით. ჩემი თვალები კვლავ ისეთივე მდუღარე ცრემლს ღვრის. ახლა 2015 წელია, მე, დედაშენი, შენი ძმა, რძალი და ძმისშვილები ცრემლიანი თვალებით და სანთლით ხელში გილოცავთ დაბადების დღეს. შენ 42 წელი შეგისრულდებოდა.

შენი გულგანგმირული დედა,
გულნარა (ციცო) გიგაშვილი,
მესტიაშვილი.

## ზაზა პოპიაშვილი



შენი დაბადების დღე ახლოვდება, ჩემო ამქვეყნიდან ნაადრევად წასულო შვილო. 9 წელია, რაც დაგვტოვე, ჩვენ ბევრი რამ დაგვიგროვდა შენთვის სათქმელი. ალბათ, შენც შენი აზრი გინდა გაგვიზიარო. როგორც სიცოცხლეში, ახლაც გულდასმით გისმენ, მითხარი რამე ჩემო სიცოცხლევ. თუმცა, ვიცი, რასაც მეტყვი, მეტყვი, რომ მალე ჩემი დაბადების დღეა – 4 თებერვალი, 36 წლის გავხდებოდი. მინდა, ამ დღეს მხოლოდ ჩემს ოჯახს მოვეფერო და მოვესიყვარულო. შენ მოგეფერო, ჩემო ლამაზო დედიკო, შენ, ჩემო უდროოდ დაბერებულო მამავ, შენ, ძმაო გოგიტა შენ, ჩემო ძმისშვილო გოჩიკო, ჩემო საყვარელო მეუღლევ და ჩემო პატარა ლიკავ, ჩემო საყვარელო ბებიებო. ბიძებო. ბიძაშვილებო, მეგობრებო და მეზობლებო, რომლებიც უზომოდ მიყვარხართ და მენატრებით.

9 წელია, რაც თქვენგან წავედი, არ მინდოდა თქვენთან განშორება, მაგრამ რაც მეწერა, ის ასრულდა, ღმერთის ნებას წინ ვერაფერი აღუდგება. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ბრწყინვალე შვიდეულის პირველსავე დღეს, სამოთხის კარი შევაღე. დაგშორდით და თან წავიღე თქვენი სითბო და სიყვარული. გული მწყდება, რომ ის ამაგი, რაც თქვენთვის უნდა გადამეხადა ჩემო მშობლებო, ის, რაც უნდა გამეკეთებინა ჩემი საყვარელი ნათიასათვის და ჩემი საფიცარი ლიკასთვის, ვერ მოვასწარი, მაგრამ...

სიკვდილი არა-არის რა, მე მხოლოდ მეორე მხარეს გავედი. მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ, ისევ ისე მომმართე, როგორც ყოველთვის მომმართავდი, ისევ ისე მესაუბრე, როგორც ყოველთვის გვისაუბრია. ნუ მიიღებ მგლოვიარე და მწუხარე იერს, ჩემო საყვარელო დედა. გაიცინე, რაზედაც გვეცინებოდა, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე. მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ... ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის... ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ, დედა...

თუ მართლა იცი, რა არის ღმრთის მადლი და სასუფეველი, თუ ძალგიძს, გაიგონო ანგელოზთა გალობა და ანგელოზებს შორის დამინახო, დაინახო ახალი ბილიკი, რომელსაც ვადგავარ, ჩემსავით უჭვრიტო იმ მშვენიერებას, რომლის წინაშე ყველა მშვენიერება ფერმკრთალდება!...

გწამდეს, როცა სიკვდილი შენც აგყრის ბორკილებს, როგორც მე ამყარა, როცა ერთ დღესაც, მხოლოდ ღმერთისათვის ცნობილ და ღმერთისგან დადგენილ დღეს, შენი სულიც სასუფეველში შევა, სადაც ჩემმა სულმა შეგასწრო, იმ დღეს კვლავ შემხვდები, ჩემო საყვარელო დედა. კვლავ ჰპოვებ ჩემს გულს და იმ გულში კვლავ იმ გრძნობას, ოღონდ უფრო განწმენდილს.

აქედან გლოცავთ ჩემო მშობლებო, ჩემო ძმაო, ჩემო საყვარელო ცოლ-შვილო. იცოცხლეთ დიდხანს, რადგან თქვენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაა.

შეიმშრალეთ ცრემლი და ნუ ტირით, თუ მართლა გიყვარვართო.

ვეცდებით, შენი სურვილი გავითვალისწინოთ, ჩვენო ზაზა. სასუფეველში შეხვედრამდე, ჩვემო მონატრებულო შვილო!

შენი ოჯახი

---

ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ჩიტო, ნიაზი და თეა იაკობიშვილებს შვილის და მეუღლის

თემურ იაკობიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ერეკლე II ქუჩის მაცხოვრებლები თანაგრძნობას უცხადებენ ლალი და ვაჟა გოგაშვილებს დედის

ქსენია მჭედლიშვილ-გოგაშვილის

გარდაცვალების გამო.

# „ჩემი ფანტაზიის და შთაგონების წყარო მუდმივად იყო ჩემი ქიზიყელი ხალხი“...

*(მეორე გვერდიდან)*

მაგრამ ექსკლუზიურად უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბოლო დროს ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა მემუშავა პროზაშიც. მალე მკითხველი იხილავს ჩემს პირველ პროზაულ ნაწარმოებს. ცოტა სქელტანიანია, ჯერ საიდუმლოდ ვტოვებდი, მაგრამ, რაღა საიდუმლოა, ჟურნალისტს ვესაუბრები... (იცინის) ჩემს ქიზიყელებს ეძღვნება და სავარაუდოდ ასეთი სახელი ერქმევა: „იასე ხირსელი“. მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაწერილია და, ვფიქრობ, მალე გამოქვეყნდება.

**- დედოფლისწყაროში ყოველთვის აღნიშნავენ, რომ არბოშიკი ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია...**

- არბოშიკი იმთავითვე გამორჩეული იყო. შინაგანი კულტურა ამ გამრჯე ადამიანებს მუდამ თან ახლდათ. ეს იყო უმაღლესი განათლების მხრივ ერთ ერთი წარმატებული სოფელი. „კადრების სამჭედლო“, მოგეხსენებათ რაიონის ხელმძღვანელი პირების 70% ალბათ არბოშიკელი იყო. უამრავი დიდი მეცნიერი და შემოქმედი გაზარდა ამ სოფელმა. აკადემიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი, პედიატრიის ფუძემდებელი საქართველოში, შესანიშნავი მეცნიერი. დავით პატატიშვილი, ფრონტელი პოეტი, უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი კაცი. მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. მაპატიოს ყველამ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ახლაც ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. ამ ფონზე, როცა ამ გვარებს თვალს გადავავლებ, ძალიან ამაყი ვარ, რომ არბოშიკელი ვარ.

**- დედაქალაქში გადასვლა თქვენს სტუდენტობას უკავშირდება, მას შემდეგ რამდენად ხშირად ახერხებთ სოფელთან კონტაქტს, არბოშიკში ჩასვლას...**

- ადრე უფრო ხშირად ჩავდიოდი, სანამ მშობლები ცოცხლები მყავდა. ძნელად მახსენდება ისეთი შაბათკვირა, რომ არ ჩავსულიყავი ჩემს სოფელში. შემდეგ ცხოვრებაც გართულდა, იშვიათად მიწევს. ჩემთვის ბევრი საპატივსაცემო ადამიანი იქ აღარ არის. სოფელი თითქმის დაცარიელდა, საშინელი მიგრაციაა. ამასწინათ ინტერნეტით ბოდიშს ვუხდიდი არბოშიკელებს და ახალგაზრდებს. იმდენი ვერ გავაკეთეთ, რომ მათ გვერდით ვიყოთ. ვინც დღეს იქ ცხოვრობენ, მართლა გმირები არიან. ბევრი რამ აკლიათ, ყველაფერი ისე არ არის, მაგრამ ნამდვილად გმირები არიან, რომ არ დაუტოვებიათ თავისი ფუძე, ადგილ-მამული და აგრძელებენ ცხოვრებას. ამიტომ გამიჩნდა სურვილი, რომ მომებოდიშებინა მათ წინაშე. ამ პათოსით მაქვს დაწერილი ერთი ლექსი „პატიება“, რომელიც ერთგვარი მობოდიშებაა ჩემი ფუძისადმი, ჩემი სოფლისადმი.



**- თქვენ ისევ გაქვთ სახლი არბოშიკში?**

- რა თქმა უნდა, მაქვს და სანამ ცოცხალი ვიქნები, შევინარჩუნებ, რადგან ეს სულ სხვა სამყაროა ჩემთვის და ძალიან მნიშვნელოვანია.

რადიკალური ცვლილება ხელისუფლების ცვლილების შემდეგ არ შეინიშნება, მაგრამ პატარ- პატარა წინსვლები არის. წყლის პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ წყალუხვი სოფელია და უამრავი ბუნებრივი წყაროა, მაინც დგას ეს პრობლემა. გზებზე ჩივიან ადგილობრივები. მიგრაციაც სერიოზული პრობლემაა. თბილისმა და რუსთავმა შთანთქა ჩვენი ახალგაზრდობა და ინტელიგენცია, ასევე საზღვარგარეთმაც. ბევრი ნიჭიერი ადამიანი გაიქცა. სამწუხაროდ, ძალიან სამწუხაროდ, ბევრი ტოვებს სოფელს.

**- საქართველოს ისტორიაში პირველად, ჩვენს ქვეყანას ქიზიყელი მმართველი ჰყავს, როგორ აფასებთ ირაკლი ღარიბაშვილის მოღვაწეობას, რამდენად სწორად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს?**

- ძალიან ამაყი ვარ, რომ დედოფლისწყაროელი პრემიერი გვყავს. პირველივე დღიდან იმედის თვალით შევყურებ მის საქმიანობას და დადებითად ვარ განწყობილი მის მიმართ. ახალგაზრდა, ძალიან ენერგიული და ნიჭიერი კაცია. იოლი არ არის, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ერთი ხელის მოსმით დაატყო შენი კვალი. მითუმეტეს, რომ ვიცით, რა მემკვიდრეობა დაუტოვა წინა ხელისუფლებამ. პროგრესის იმედი ნამდვილად მაქვს და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება. რა თქმა უნდა, ყველა საქმეში გამოცდილება აუცილებელია, მითუმეტეს ქვეყნის მართვაში, მაგრამ ჩანს, რომ ამის დეფიციტს ირაკლი ღარიბაშვილი არ განიცდის.

ინგა შიოლაშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

## შვილს,რომელიც არ მყოლია

შენ იქნებოდი, ალბათ, გიორგი,
მხრებგანიერი, ბიჭი, ქორბუდა,
შენს უიღბლობას ცრემლად
ვდიოდი,
ჩემზეც მრავალი ჟამი მობრუნდა.
სულ დაგემებდნენ დედის გენები,
ათასწლეულებს გამოქცეული,
დღეს ვით ნასეტყვარ ვენახს
მტევნები,ზეცას ჰკიდია ჩემი სხეული.
ემმა ჯიუტად მიჭერს მარწუხებს,
ჰირი შეიკრეს თითქოს მისნებმაც,
მე შენი წილი სისხლი მაწუხებს,
მე შენი წილი გული მისკდება.
გაორებული სულით მოგტირი,
თუმცა არა ვარ, შვილო, ჯაბანი,
ბედიც კაცია, ცრუ და ორპირი,
მასაც სიკეთის მადლით დავჯაბნით.
არ შეუშინდე ამოწვდილ მახვილს,
და თუ მოსინჯავ ემაგ დევის შნოს,
გწამდეს ვით სახლში მიმავალ
ნახირს,
სისხლსაც თავის გზა უნდა
ენიშნოს.
მაშინ კი მოხვალ ბრძოლამოხდილი,
თვით ანგელოზის ნაფეხურებით,
და აინთება ჩემი თვალები,
როგორც ჩამქრალი საცეცხლურები...
შენ იქნებოდი მართლაც გიორგი,
დედის სუნთქვა და პაპის სეხნია,
მაგრამ შემინდე, თუ ეგ სიცოცხლე
მხოლოდ სიზმრიდან დამისესხნია.

## ადამის საჩუქარი

*ჯემალ კუხალაშვილს*

თუ ვაჟკაცია, ეგ სამსალა მეფემ
დალიოს,
ოსტატის დელგმა გაურიოს
დღეთა ანცობას,
იქნება მერე შენი ქოხიც ებეთანიოს,
ანდა მიგიხვდეს, როგორ უმლებ
ნიჭს და კაცობას.
ვერსაცნაურო, შემოქმედის
ხვედრო-მტანჯველო,
შენი ხალათი ვერც გულადმა
მეფემ ატარა,
ოდესღაც თურმე კაცად მოკვდა
მიქელანჯელოც,
მაგრამ თვით გამჩენს ღმერთკაცადაც ეპატარავა.
შენი სამკვიდროც ჩამოაგავს
საუფლო ედემს,
ცასთან ახლოა, რიალებენ თეთრი
ბლონდები,
მაგ ფრთამოტეხილ გაზაფხულებს რა ვუყოთ მერე
მაზირთ მდელოზე ხსნასავით რომ
ამოგნოლდები.
ჰურის ყანაში, სამრეკლოზე
გდევდა სიათა,
ბედის მწერალმა ვერ მოგზომა,
ვერ გიარშინა,
ხალხს რომ ეგონა, შენს სულს
ყიდდა ვითომ იაფად,
არსთა გამრიგე მეგლად გკვეთდა
თურმე მაშინაც.
რაც მიწის იყო, ამბობენ, რომ
უკვე ცისაა,
ჟამთან მოდავეს გსწორფერობენ
სიზმრის დედები,
ეს საუკუნე ახლა მხოლოდ ხუთი
წლისაა,
მაგრამ თქვენ ერთად ვერასოდეს
ვერ დაბერდებით.
შენ დრო დააბი უკვდავების სადარ
მდელოზე,
ეტოლმეტები „ლილეოს“ და
თავად „ჩაკრულოს“.
საფლავდაკარგულ ფიროსმანის
საქართველოზე
მილურსმულო და ქრისტესავით
ჯვარზე გაკრულო.
შენი ყისმათი ოდითგანვე ფარსმანსპარსობდა,
დარდუბალობდა სალიერთა
ჯარის სარდალიც,
და შენ კი, როგორც ბედისწერის
გარდუვალობაიყავი ნაღდი, უდრეკი და ცამდის
მართალი.
...თუ ვაჟკაცია, ეგ სამსალა მეფემ
დალიოს,
მართლა დალიოს, რომ გაიგოს
კაცთა მისნობა,
იქნება მერე მხატვრის ქოხიც
ებეთანიოსშენი სულიდან ამოზრდილი
მარადისობა.


# ყურადღება!

ეწყობა საალდგომოდ მოსალოცი ტური წმინდა მიწაზე ( იერუსალიმში) შეღავათიან ფასებში. ტურის ხანგრძლივობა შეადგენს 7 დღეს (9.04. 2015-15.04.2015). დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე:

☎ 557 27-28-58


# ულოცავენ!

## რიჩარდ მახარაშვილს

ჩვენო ძვირფასო მამა, გილოცავთ დაბადების 66 წლითავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დღეგრძელობას შენს საყვარელ შვილებთან, რძლებთან და შვილიშვილებთან ერთად,შენ მუდამ ჩვენი დიდი იმედი იქნები!

**სიყვარულით:** მიშიკო და ნუგზარ მახარაშვილები, **რძლები:** ეკა, ირა; **შვილიშვილები:** ირაკლი, ქაზუა და ნინო მახარაშვილები;


# ვაქირავებ!

იაფად ვაქირავებ 20 ჰექტარ სახნავ მიწას შირაქში საგაზაფხულო კულტურებისთვის. მსურველებმა დარეკეთ:

☎ 591977326

# იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება აგურით ნაშენი, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი,
რომელიც მდებარეობს ქალაქ დედოფლისწყაროში,
ევდოშვილის ქ. №1; ფასი 14000$;

☎ 568 713 894;


# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 02.02 დღე | ორშაბათი 02.02 ღამე | სამშაბათი 03.02 დღე | სამშაბათი 03.02 ღამე | ოთხშაბათი 04.02 დღე | ოთხშაბათი 04.02 ღამე | ხუთშაბათი 05.02 დღე | ხუთშაბათი 05.02 ღამე | პარასკევი 06.02 დღე | პარასკევი 06.02 ღამე | შაბათი 07.02 დღე | შაბათი 07.02 ღამე | კვირა 08.02 დღე | კვირა 08.02 ღამე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6° | 3° | 8° | 7° | 9° | 5° | 6° | 4° | 4° | 3° | 4° | 3° | 7° | 6° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K